ოქმი:**ო63. 6325069001**
თარიღი:**10/03/2025**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს სხდომის

ო ქ მ ი N1

ქ.სამტრედია 19 თებერვალი. 2025 წელი.

მიმდინარე წლის 19 თებერვალს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს თავმჯდომარის, ტარიელ დვალიშვილის თავმჯდომარეობით, ჩატარდა ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ტარიელ დვალიშვილი, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, გოჩა არველაძე, მანანა სირბილაძე, ირაკლი მელაშვილი, ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ტარიელ ცომაია, ლელა ჩორგოლაშვილი, დავით ჯანელიძე, გიორგი ლეჟავა, ჯონი თევზაძე, გიორგი გაგუა.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1.მოძრაობა ,,ხალხის ძალა“_ს წევრები - პაატა კოხრეიძე და მერაბ უღრელიძე.

2.სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი - ხოე ივანიაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.სახელმწიფო აუდიტის მიერ 2024 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებსა და 2024 წლის 1 ივლისამდე პერიოდში საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის აუდიტის ანგარიშის შესახებ.

/მომხსენებელი: ტარიელ დვალიშვილი/

2.სხვადასხვა

ფრაქციის თავმჯდომარის წინადადებით, ფრაქციის წევრებმა (15 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრთა (15 ხმით), დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ დვალიშვილმა ფრაქციის წევრებს გააცნო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დეპარტამენტის უფროსის გიორგი მამრიკიშვილის 29/01/2025წ. N-000449/18 წერილობითი მომართვა. (სამტრედიის მუნიციპალიტეტის რეგისტრაციის ნომერი: 06-63250297-63. 29/01/2025წ.) რომელიც ეხება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, 2024 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებსა და 2024 წლის 1 ივლისამდე პერიოდში საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის აუდიტის ანგარიშს. წერილობით მომართვაში აღნიშნულია, რომ გააცნოთ აღნიშნული ანგარიშები საკრებულოს წევრებს, განიხილოთ დასაკრებულოს სხომაზე და შედეგების შესახებ აცნობოთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

(დანართი: დამტკიცებული აუდიტის ანგარიში - 43 ფურცელი ოქმს თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს: ტარიელ დვალიშვილმა, ნოე ივანიაძემ, ტარიელ ცომაიამ, ვაჟა სტურუამ, გოჩა არველაძემ, ლიზა კრავეიშვილმა, მანანა სირბილაძემ. **ტარიელ დვალიშვილი -** როგორც მოგეხსენებათ, საკრებულოს ყველა წევრი გაეცნო სახელმწიფო აუდიტის მიერ 2024 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებსა და 2024 წლის 1 ივლისამდე პერიოდში საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის აუდიტის ანგარიშს.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს აუდიტის ჯგუფის მიერ სულ შემოწმებულ იქნა 13 მუნიციპალიტეტი. მათ შორის არის სამტრედიაც. აუდიტის ჩატარების შედეგად გამოვლინდა ნაკლოვანებები, რომელზეც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მუნიციპალიტეტების საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესება.

სხდომაზე მოვიწვიეთ მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი - ნოე ივანიაძე. რომელიც მოგვაწოდებს ინფორმაციას აუდიტის რეკომენდაციის შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით მინდა ჩემი აზრი დავაფიქსირო - მინიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშს თან ახლავს ცხრილი, სადაც მითითებულია სამტრედიის მუნიციპალიტეტიც. 2022-2023 წლებსა და 2024 წლის 6 თვეში გაიჯარდა 12 ერთეული უძრავი ქონება, საიდანაც მისაღები შემოსავალი წლიურად შეადგენს 8.8 ათ.ლარს. ასევე განხორციელდა 15 ერთეული უძრავი ქონების პრივატიზება საერთო ღირებულებით -524.0 ათ. ლარი. რაც ძალიან ცოტაა.

ბატონო ნოე გთხოვთ, განმარტოთ ზემოაღნიშნული.

ნოე ივანიაძე - მოგახსენებთ, რომ ეს იყო ეფექტიანობის აუდიტი, რომელიც მოიცავდა 13 მუნიციპალიტეტს. მათ შორისაა სამტრედიის მუნიციპალიტეტიც. ეფექტიანობის აუდიტი თავისი შინაარსით არის რეკომენდაციის ხასიათის. ეს არ არის კონკრეტულ მუნიციპალიტეტზე. საერთო ჯამში აუდიტის სამსახურმა აღმოაჩინა ისეთი ხარვეზები, რომლებიც გამოსასწორებელია.

ვაჟა სტურუა - მეც მაქვს ის ცხრილი ნანახი, რომელშიც ასახულია 12 გაიჯარებული მიწის ნაკვეთი. მაინტერესებს არასასოფლო მიწაა თუ სასოფლო?

ნოე ივანიაძე - სასოფლო-სამეურნეო იქნება პატარა ნაკვეთბი.

ლიზა კრავეიშვილი - ნაზარდი ჯამით თუ გაქვთ დაჯამებული მიწის ნაკვეთები?

ნოე ივანიაძე - ჯამში არ იქნება 7 – 8 ჰექტარზე მეტი ოღონდ გაიჯარებული.

ტარიელ ცომაია - 2023 წლიდან ჯამში დღეის მდგომარეობით რამდენი გვაქვს იჯარით გაცემული მიწა? რამდენი მეიჯარე გვყავს და რამდენი ჰექტარი მიწაა გაცემული რომ გოგვაწოდოთ ელექტრონულად.

ნოე ივანიაძე - ყველა მონაცემები გვაქვს და შემიძლია მოგაწოდოთ.

გოჩა არველაძე - დასკვნაში მითითებულია, რომ მუნიციპალიტეტების ნაწილი სათანადოდ ვერ ახორციელებენ გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებების ადმინისტრირებას – ვერ ხდება იჯარიდან მისაღები შემოსავლის სრულად მობილიზება, რიგ შემთხვევებში მოიჯარეებზე დაკისრებული არ არის საურავი. შედეგად, ადგილობრივი ბიუჯეტი კარგავს კუთვნილი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას. მაინტერესებს, მოიჯარეებს, რომლებსაც დაგვიანებით, ან საერთოდ არ აქვთ თანხა შემონატანი, არის თუ არა მათზე დაწესებული საურავი?

ნოე ივანიაძე - დიახ, ყველა მოიჯარეს ეგზავნება წერილობითი მიმართვა**,** სადაც მითითებული აქვს საურავი.

ტარიელ ცომაია - ძველი გაცემული უძრავი ქონების მატებასთან დაკავშირებით თუ გეგმავთ რაიმეს?

ნოე ივანიაძე - დიახ დაგეგმილი გვაქვს და კიდევ უფრო გავამკაცრებთ.

გოჩა არველაძე - რეკომენდაციაში მითითიებულია, რომ საწყისი ღირებულების განსაზღვრისათვის მომზადებული აუდიტორული დასკვნები გამოყენებული აქვთ 3 და მეტი წლის შემდეგ. მუნიციპალიტეტებმა საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებისას გამოიყენეს წინა პერიოდის აუდიტორული შეფასებები რითაც გაიზარდა ქონების არასაბაზრო ღირებულებით განკარგვის რისკი. მაინტერესებს, ჩვენს მუნიციპალიტეტს აქვს თუ არა წინასწარ გაკეთებული აუდიტის დასკვნით გაყიდული მიწა?

ნოე ივანიაძე - მთავრობის დადგენილება არის 669. საწყისი საპრივატიზაციო განსაზღვრის შესახებ. და არსად მსგავსი არ წერია. თუმცა ლოგიკა არის, ინფლაციაა, ფასები იზრდება. ვინაიდან ეს რეკომენდაცია შემოვიდა უნდა გავითვალისწინოთ მოქმედ მეიჯარეებზე.

მანანა სირბილაძე - აღნიშნული რეკომენდაციებიდან ჩვენ რომელი გვეხება?

ნოე ივანიაძემ უპასუხა- რეკომენდაცია N1, რომელიც, ჩემი აზრით ყველაზე რთულია მიზანშეწონილია შეიმუშაოს უძრავი ქონების მართვის სტრატეგია, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს მიზნების, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების ერთობლიობას ქონებრივი უფლებამოსილებების განხორციელების ყველა ეტაპზე;

აღნიშნულთან დაკავშირებით მოვიძიე ინფორმაცია, მსგავსი სტრატეგია ქონების მართვის თუ აქვს რომელიმე მუნიციპალიტეტს. დამისახელეს მხოლოდ ხორვატიის მაგალითი. დანარჩენი რეკომენდაცია არის უფრო ტექნიკური მხარე. რომელზეც მიმდინარეობს მუშაობა.

გოჩა არველაძე - თუმცა არის მითითებული ისეთი რეკომენდაციები, რომლის გამოსწორებაც შესაძლებელია, თუნდაც ის, რომ გამოვიყენოთ ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა პლატფორმა და რეგულარულად იქნას განახლებული ინფორმაცია ვებ. გვერდებზე და სოც. ქსელებში. ასევე საინფორმაციო დაფა , რომელიც ხელს შეუწყობს დაინტერესებული პირების სათანადოდ ინფორმირებას და აქტიურ ჩართულობას უძრავი ქონების განკარგვის პროცესში.

ვაჟა სტურუა - საკმაოდ რთული პროცესია, როგორც ვიცი საქმის წარმოების პროგრამაშიც ითვალისწინებს იყოს ეს ყველაფერი აღნიშნული.

ნოე ივანიაძემ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული საკითხის უკეთ შესასწავლად და რეკომენდაციების გასათვალისწინებლად ,საჭიროა შეიქმნას სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში სამუშაო ჯგუფი, რათა მოხდეს აღნიშნული შენიშვნების გასწორება.

ფრაქციის წევრებმა იმსჯელეს და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრებმა (15 ხმით) ზემოაღნიშნული მიიღეს ინფორმაციის სახით.

სხდომის მდივანი: / ლია ყურულაშვილი/

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი